№ 117 სახალხო გაზეთი № 117

კვირა, 26 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწ. პირველი

გულდამწვარი დედა კნეინა დარია ლევანის ასული ანდრონიკოვისა, დები კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასული თარხან-მოურავის, ელენე ალექსანდრეს ასული ბებუთოვისა, და სიძე თავადი ილია მიხეილის ძე თარხან-მოურავი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და ამხანაგთ, რომ კვირას, 26 სექტემბერს, დილის 10 ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

თ. გიორგი ალექსანდრეს ძის ანდრონიკაშვილის

სულის მოსახსენებლად. დაკრძალვა ვერაზე წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკკლესიაში. (2—88—2)

---

მწუხარებით სავსე დედა ევა (იგივე ევგენია) დიმიტრის ასული კალპაკოვისა და ბებია სოფიო ალნიაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ქ. მოსკოვში უდროოდ გარდაცვალებულის მეორე კურსის სტუდენტის

ბარის ალექსის ძის კალპაკოვის

სულის მოსახსენებლად, დღეს 26 ენკენისთვეს ქვაშვეთის ეკკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 2 საათზე. ძვლის კურთხევა და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე მოსკოვში, ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—96—1)

---

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 1.

კვირას, 26 სექტემბერს, 1910 წელს,

სეზონის გასახსნელად

ქართულ დრამატიულ საზოგად. კასის მიერ წარმოდგენილი იქნება დავ. ერისთავის

# სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად.

ახალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსები.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დავითაშვილი ნინა, ვიქტორელი მარიამ, ლეჟავა ოლგა, ლოლუა არეთა, პიერრეტა ანასტასია, ქილარჯიშვილი მარგარიტა, შოთაძე ანნა, ჩერქეზიშვილი ელისაბედ, ჯავახიშვილი ნატალია. ბ-ნნი: არაბული გიორგი, გუნია ვალერიან, გამყრელიძე ვიქტორ, გვარამე ნიკოლოზ, ივანიძე იოსებ, ქიქოძე იოსებ, ზარდალიშვილი იოსებ, მდივანი ბუდუ, მატარაძე ვიქტორ, მგალობლიშვილი დავით, შამფორია ილია, საფაროვი ზაქარია, მალიკაშვილი ვალერიან.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოები ა. რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

ადგილების ფასი: გალერეია 20—80 კ. მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებს, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა იმყოფნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „სატანა", გარდინისა; „სიმახინჯე", მიქუაშვილისა; „მზის ამოსვლამდე", ჰაუპტმანისა; „ღრი ვნება", ბატაილისა და სხვ. (0—2)

---

# რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

# დიდ ძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—6)

---

# ვაგზლის კერძო საავადმყოფო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაჩაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ. ნ. 447

---

# ტფილისის კერძო საავადმყოფო

გაფართოვებულია და სტაციონარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით. განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროს თან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეს და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირაძლოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

საავადმყოფოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფეოდოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—286,

---

საზოგადოების წევრთა და განსაკუთრებით კახელ მევენახეთა

# საყურადღებოდ

ამით აცხადებს, რომ „კახეთის" საზოგადოების საქმეების გაუკეთესების გამო მას საშუალება აქვს კახურ ღვინის მთელი მოსავალი მომხმარებლებზე გაასაღოს შეამდგომელთა დაუხმარებლივ.

საზოგადოების წესდების მე-§ § 4 და თანახმად, მიღებულ ღვინოში პატრონს მიეცემა პირველად ღირებულობის მესამედი, შემდეგაც ორი-მესამედი ორჯეროზე დაუბრკოლებლად საოპერაციო წლის განმავლობაში. გამგეობა იმედოვნებს, რომ ღვინის მწარმოებელნი აიკილებენ ჩარჩ მოვაჭრეებს თავიანთ და სასარგებლოდ და საერთო საქმის გასაძლიერებლად. (10—65—7)

---

# დიდი იაფი ვაჭრობა

კიდევ 4 დღეს:

27, 28, 29 და 30 ენკენისთვეს.

იაროსლავის მაღაზიაში

# პ. ს. დოროჟნოვისა

მიხეილის ქუჩა, ახალ დიდ შენობაში, ლიუტერანთა ეკკლესიის გვერდით.

# დიდი იაფი ვაჭრობა

გაგრძელებულ იქნება კიდევ 4 დღით პირველ ოქტომბრამდე ე. ი. 27. 28, 29 და 30 სექტემბერს.

ყველა საქონელი გაიყიდება ისევ იმ

საარაკო იაფ-ფასებში,

როგორც აქამდე იყიდებოდა

იაფ-ვაჭრობის გათავების შემდეგ კვლავ

მოვიდა

აუარებელი საქონელი

სეზონისა.

(1—94—1) პ. ს. დოროჟნოვი.

---

კვირას, 26 სექტემბერს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს

გაიმართება 8 საინტერესო კავკასიური



# ჭიდაობა

ამხ. „დეტსკი მირის" სასარგებლოდ

ამ კვირია იჭიდავებს კავკასიის 1-ლი გამოჩენილი ფალავანი

კოლა გლდანელი

და ახლად ტურციიდან ჩამოსული მოჭიდავე

სოლომონ სოგომანიანცი (კადი 5 წუთი).

2. მიხაკა ქურხული და ქონდარა გონიაშვილი. 3. შამუა ვერელი და ილიკო ჩიჩაშვილი. 4. მესხელი და ბებეურა როსტიაშვილი. 5. ერეკლე კახელი და გიორგი მჭედლიძე. 6. თედო კაკაშვილი და გიგო გარეკახელი. 7. მეტივე ტატაშვილი და ვასო კოშკელაშვილი. 8. ნივა ტიგიშვილი და სეროჟა ჯაფარიძე,

გარდა ამისა იჭიდავებს ჭიდაობის მოყვარულნი.

ანონსი: მომავალ კვირას გაიმართება საინტერესო კავკასიური ჭიდაობა.

ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი

დასაწყისი საღამოს 4 საათზე. ადმინისტრატორი ნ. კიკნაძე. (2—39—2)

---

სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა

კვირას, 26 სექტემბერს,

# ა. ი. ხატისოვი

წაიკითხავს ✦ ლექციას ✦ შემდეგ თემაზე:

# შავი ჭირი

და მასთან საბრძოლველი საშუალებანი.

ლექციის შემდეგ კონცერტი. მონაწილეობენ ქ-ნნი: გულულოვისა, ლოზიცკოისა; ბ-ნნი: კოვალევსკი, კაპანაკოვი, ცედელერ. მუსიკას დაუკრავს ქ-ნი შირსკაია. ადგილ. ფასი 5 კ. და 50 კ.

ლექციის დასაწყისი დილის 11 საათზე.

---

ნაძალადევის სცენის მოყვარულთა წრის

წესდება დამტკიცდა, და დროებით არჩეული კომიტეტი ამა წრისა მოიწვევს

# საზოგადო კრებას

28 ამა მდგომარე სექტემბრის სამშაბათს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევში, ავჭალის ქუჩა საქალაქო სასწავლებლის დარბაზში, სახლი ბოტტესი. (2—92 1)

---

# გამგე კომიტეტი

ტფ. გუბ. ღარიბ-მოწაფეთა შემწეობისათვის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ გამგე კომიტეტის ახალ წევრთა ამოსარჩევად ამა ენკენისთვის 26 დღესა დილის 11 საათზე თავად-აზნაურთა გიმნაზიის სადგომში მოხდება საზოგადოების წევრთა

# საზოგადო კრება

და არა თავად-აზნაურობის დეპუტატების საკრებულოში, როგორც იყო გამოცხადებული. (2—90—2)

---

კლასები

# ფორტეპიანოსი

იოსებ გიორგის ძე

ტერ-დავიდოვისა

ტფილისი, ელისაბედის ქ. № 40. (20—6.—14)

---

გამოვიდა მე 38 ნომერი





თითო ნომერი 10 კაპ.

მოიკითხეთ ყველგან.

წლიური ფასი 5 მან., ნახევარი წლით 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

რედაქტ.-გამომც. იოსებ იმედაშვილი.

---

3 ოქტომბისთვის დილით 12 საათზე დანიშნულია, სამეურნეო ბანკის ბინაზე „ახალ კლუბის" წევრთა საზოგადოების კრება.

განსახილველი საგნები:

1) ახალი წევრთა მიღება.
2) მამასახლისთა არჩევნები.

(3—81—2)

---

# შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

ძმ.

# ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (7—82—2)

---

## ტფილისი, 26 სექტემბერი

**მაშ სად არის საერობო დაწესებულებათა პროექტი?**

არა გვგონია შემცდარი იყოს ის აზრი, რომ კავკასიის სხვა და სხვა ერებს არც ერთ საკითხში არ გამოუჩენიათ ისეთი სრული ერთსულოვნება, როგორც საერობო რეფორმის საკითხში. ყველა დარწმუნებულია, რომ ჩვენის ქვეყნის დასახსნელად სიღარიბისაგან და სწორე განვითარების გზაზე დასაყენებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საერობო დაწესებულების შემოღება. ყველა ჰხედავს, რომ არავითარი სერიოზული რეფორმა, რომელსაც მიზნად კავკასიის რიცხვ-მრავალ მცხოვრებთა კეთილდღეობა აქვს, არ შეიძლება განხორციელდეს გარეშე ორგანიზაციოსულად მოწყობილ საზოგადოებრივ ძალებისა. უკვე ორმოცი წელიწადია ეს აზრი ტრიალებს და ამ აზრს ღაღადებენ ადგილობრივი პრესსა, წოდებრივი საზოგადოებანი, საქალაქო თვით მმართველობანი, მეცნიერული საზოგადოებანი, კრებები მეცნიერ და საზოგადო მოღვაწეებისა და სხვა. მაგრამ ჩვენ დღესაც ისევ ძველ ულაზო სამუდარო კითხვის წინაშე ვდგევართ: ნეტავ, როდის-ღა გვექნება საერობო დაწესებულებები.

განვლილი საუკუნის მე-80 წლებიდან ოფიციალურმა სფერებმა თითონ აღიარეს, რომ კავკასიაში საერობო მეურნეობა წესიერად არ მიმდინარეობს, მაგრამ ნამდვილ საერობო დაწესებულებათა ნაცვლად მაშინ სხვა-და-სხვა სუროგატებს ეტანებოდნენ. მხოლოდ 1905 წელს აღიარა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ, რომ საერობო დაწესებულებათა დებულების გავრცელება კავკასიაზე ეს ისეთი საკითხია, რომელიც უნდა მოთავსდეს დასამუშავებლად სხვა უმთავრეს საკითხებთან ერთად პირველ რიგში, რადგან ერობის შემოღება შესაძლებელიც არის და მიზან-შეწონილიც". (ოფიციალურ დოკუმენტის სიტყვებია). რა შეგნებულად ეკიდება ხალხი საერობო რეფორმას, ეს იქიდანაც კარგად სჩანს, რომ იმავ 1905 წელს გამართულმა საგუბერნიო და სამაზრო თათბირმა, რომელსაც უნდა განეხილა განზრახულ საერობო რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები, დიდძალი მდიდარი მასალა შეაგროვა, თუმცა ეს მასალა შემდეგ უნაყოფოდ და უშედეგოდ ჩაიღუპა საკანცელარიო არხივში. მაშინ თუმცა განსაზღვრული კონკრეტული პროექტი საერობო რეფორმისა არ ყოფილა შემუშავებული, მაგრამ თვით რეფორმის პრინციპიალური დაპირება მაინც ფართოდ განვითარდა. კავკასიის მმართველის ცნობილ 1907 წლის მოხსენებაში განზრახულ რეფორმათა შორის პირველი და უმთავრესი მნიშვნელობა საერობო რეფორმას ჰქონდა მიკუთვნებული. „სრულიად შეუძლებელია, ვკითხულობთ ამ მოხსენებაში, ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალთა დაუხმარებლივ მომავალში ქვეყნის მართვა და გამგეობა. აუცილებელია ერობის შემოღება კავკასიაშიც: მხოლოდ ერობის შემოღების შემდეგ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, წესიერ ნიადაგზე დადგნენ სახალხო განათლების, აგრონომიურ დახმარების, სახალხო ჯანსაღობის, სახალხო გამოკვების და სხვა საქმეებიო". ასე ნათლად და ასე კატეგორიულად აღნიშნულია ამ მოხსენებაში საერობო რეფორმის აუცილებელი საჭიროება. აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ ამ მოხსენების ყველა ძირითადი აზრები მოწონებულ იქმნა იმპერიის უმაღლეს მთავრობის მიერ. საკითხის ასე დაყენების შემდეგ შესაძლებელი იყო იმედი გვქონოდა, რომ ყველა თაიაც ელირსებოდა ხალხი ამ დიდის ხნის ნატრულ რეფორმას, მაგრამ იმის განსახორციელებლად პრაქტიკული ღონისძიება ეხლაც ისევე არა სჩანს, როგორც წინად, როცა მთავრობა პრინციპიალურად წინააღმდეგი იყო საერობო დაწესებულებათა შემოღებისა. როცა ჩვენი საზოგადო მოღვაწეები კითხულობენ ან სამინისტროში ან სახელმწიფო სათათბიროს სფერებში, რა ბედი მოელის და როდის განხორციელდება განზრახული საერობო რეფორმა კავკასიაშიო, მათ უპასუხებენ, ამ საქმის ინიციატივა ისე, როგორც პროექტის შემუშავება და წარმოდგენა მთლად კავკასიის ადგილობრივ მთავრობის საქმეაო. ამავე დროს, როგორც ყველანი ვხედავთ, კავკასიის მმართველ წრეებში არა თუ დამზადებული ერობის პროექტი არ მოიპოვება, ამ მხრივ რაიმე სისტემატიურ მუშაობაზე არც კი ფიქრობენ.

მართალია, 1909 წელს 1905 წლის ცდა კიმყორეს მასალის მოსაკრებლად და ტფილისში გამართულმა ღირსშესანიშნავმა „საერობო კვირამ" საუცხოვოდ დაამტკიცა, რომ კავკასიის მცხოვრებლები ყოველმხრივ მზად არიან საერობო დაწესებულებათა შესათვისებლად, მაგრამ ამ ახალის მასალიდაც არავის უსარგებლნია და არავის შეუმუშავებია საერობო დაწესებულებათა დებულების პროექტი კავკასიისთვის. ეხლა, 1910 წელს, რა თუ დამზადებული პროექტი არა სჩანს, თითქოს პრინციპიალურადაც უკვე ძველებურად უქცევენ ზურგს საერობო რეფორმას. როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, 1910 წლის უქვეშევრდომილესს მოხსენებაში ერობის შემოღებაზე უკვე ალარავითარი ლაპარაკი აღარ არის. რას ნიშნავს ეს? უბრალო შემთხვევაა ეს გაჩუმება ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე ისეთ საყურადღებო დოკუმენტში, როგორიც ნამესტნიკის უქვეშევრდომესი მოხსენებაა, თუ ეს გაჩუმება განზრახულია და შეგნებული? არაფერი საჭიროება არ მოითხოვს დავფაროთ ჩვენი ღრმა რწმენა, რომ 3 ივნისის სათათბიროსაგან ქვეყნის საკეთილო რეფორმა ძნელი მოსალოდნელია, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გუჩკოვის და პურიშკევიჩის სათათბირო უკვე თავის ყავლს შეასრულებს! ცოტა რამ იმედი კიდევ შეიძლება ვიქონიოთ ზოგიერთ ნიშნების მიხედვით, რომ მეოთხე სათათბირო იქნება ცოტა უფრო უკეთესი

იყოს შინაურ რეფორმების გასატა- რებლად, როგორც საერთოდ მთელს იმპერიაში, აგრეთვე კერძოდ კავკასი- აში. კავკასიის მცხოვრებლების ძირი- თადი საჭიროებანი და აზრი, რომ პირველი და ძირითადი რეფორმა ჩვენში აუცილებლად საერობო რე- ფორმა უნდა იყოს, ვალსა გვდებენ, ვიფიქროთ და ვიზრუნოთ, რომ მე- ოთხე სათათბიროს მოწვევისათანავე შეტანილ იქმნას საკანონმდებლო და- წესებულებებში პროექტი კავკასიის საერობო დაწესებულებათა დებულე- ბისა. ნამდვილად კი ახალი პროექტი ჯერ-ჯერობით არსად არა სჩანს.

რეაქციის ხანა შავბნელი დროა ამ დროს ბევრი მხოლოდ სიჩუმის პო- ლიტიკას აწარმოებს. მაგრამ ჩვენ მა- ინც არ გვავიწყდება, რომ მცხოვრე- ბლებს სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენელნი ჰყავთ, რომელნიც ვალდებნი არიან იზრუნონ ხალხის ძირითად ინტერესებზე, გვახსოვს ისიც, რომ სათათბიროს გარეშე მო- იპოვებიან საზოგადოებრივ და წო- დებრივ დაწესებულებათა წარმომად- გენელნი, რომელთაც აგრეთვე მოე- თხოვებათ საზოგადო სამსახური, და ამიტომ ხმა მაღლა ვკითხულობთ: მაშ რა იქნა და რა დაემართა დანაპირ საერობო დაწესებულებათა პროექტს კავკასიისათვის. Jonnesco.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

იმ დროს, როდესაც ჩვენ ქარ- თულ პრესას შიშით ხმა ვერ ამოუ- ღია და იძულებულია გულშივე ჩაი- კლას სამართლიანი საყვედური ჩვე- ნის მემამულეებისადმი თავის მიწა- წყლის სხვის ხელში ჩაგდებისათვის, უცხოელები მშიერი მგლებივით დაძრწიან მთელ საქართველოში და ჩვენ გლეხებს თვალსა და ხელ შუა აცლიან მათისავე ოფლით მორწყულ დედულ-მამულს. აი სხვათა შორის რასა სწერს გაზეთი „ნოვაია რეჩი“:

„ჩვენ დღე მუდამ იმასა ჰკივით, რომ ჩვენთვისაც არა გვყოფნის ადგილ-მამუ- ლით და ამ დროს მოდიან გერმანელე- ბი და სულ იმის ცდაშია არიან რომ, როგორმე ხელში ჩაიგდონ ქართველ გლეხების მიერ დამუშავებული მიწები.

როგორც ჩვენ შევიტყეთ, გერმანია- ში შემდგარა კაპიტალისტთა და მაღალ- [illegible] ერთ გვარი საზოგადოება, რომელსაც აზრა- და აქვს კავკასიაში მიწები შეიძინოს თავის ახალშენებისათვის. ამ საზოგა- დოების წარმომადგენელი უკვე ყიდუ- ლობს მიწებს ჩვენის მემამულეებისა- გან.

ამ წლის დამდეგს ელისაბედ ალექ- სანდრეს ასული თარხან-მოურავისა მო- ურიგდა სოფ. ცხავერის გლეხებს თავი- სი მამული მიჰყიდა და ბეჯ ოცდა ათი თუმანი გამოართვა. ამასთანავე პირო- ბის ძალით ასი თუმანი ჯ რიმა უნდა გადაეხადნა იმ მხარეს, რომელიც შეი- შლებოდა. საქმე მამულის დამტკიცება- ზე მიდგა. ამ დროს გაჩნდა გერმანელი კარლ გოტლიბოვიჩ ბრანდტი, თარხან- მოურავისას 10 მანეთით მეტი მისცა დღიურზე და გლეხებზე გაყიდული მიწა თვით დაირჩინა...

საყურადღებოა აგრეთვე მეორე მაგა- ლითი გერმანელებისაგან მამულის შე- ძენისა. სოფელ ახალქალაქში გ. ლ. თარხნიშვილი ნოსტელ გლეხებს მოუ- რიგდა დღიურზე 25 მანეთად. გაჩნდა ისევე გერმანელი, დღიურზე 10 მანეთი წაუმატა და გლეხებს მიწა ხელიდან გა- მოაცალა.

რასაკვირველია ბრანდტები ყოველ- თვის გაუწევენ მოქიშპეობას ჩვენ გლე- ხებს, მაგრამ საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებასაო“.

გულმტკივნეულად დასძენს გაზე- თი. ოღონდაც, რომ ასეთ მოვლე- ნას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ ვინ არის პატრონი?

* * *

თუ ბ-ნ მ. ტფილისელს დავუ ჯერებთ და ცოტა მოთმინებას ვიქო- ნიებთ, მგონი, ეს პატრონი მალე გა- მოგვიჩნდება. დღეს კი გაზეთ „ზა- კავკაზიეში“ ქართველთა მიწა-წყა- ლის შესახებ ისეთ რამეებს ლაპარა- კობს, რომ ალლახიც ვერას გაიგებს.

„ქართველებს მიწა ხელიდან გვე- ცლება მოსულ ხალხზე გადადის ად- გილ-მამული, და ლამის ჩვენი გლეხი თავის მმკვებავ უმიწოდ დარჩეს, ლამის ტერიტორია დავკარგოთო“ გაიძახიან ყოველ ჰანგზე და ფარისევლურად ცრემლსა ღვრიანო“.

გვიკიჟინებს ბ-ნი მ. ტფილისელი და ეგრედ წოდებულ „ქართველ ინტელიგენციის“ გვარიანად ამათრა- ხებს. ჯერ არ ვიცით რა საბუთის ძალით ამხედრებულა ასე ულმო- ბლად ბ-ნი მ. ტფილისელი ქართველ ინტელიგენციის წინააღმდეგ, რად- განაც ეს მისი წერილი მხოლოდ დასაწყისია მისივე [illegible] ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის გავიგეთ რომ **ხალხს და ინტელიგენციის შორის მთელი უფსკრული ყო- ფილა.**

ვნახოთ რითი ამოავსებს ამ უფ- სკრულს ბ-ნი ტფილისელი და ან რა საშუალებას გვიჩვენებს ჩვენი მიწა წყლის შესანარჩუნებლად.

ხვალ და ზეგაც აი თვისაა!

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 სექტემბერი.

## რევოლუცია პორტუგალიაში

**ლონდონი.** პორტუგალიის ამბე- ბისა გამო რეიტერი იუწყება, რომ პირველი ცნობა გარეშე საქმეთა უწყების მიერ მიღებული იყო „ის- ტერნ-ტელეგრაფის“ დეპეშა, სამ- შაბათს დილით მისული. ამ ცნო- ბით ლისაბონი მიწყნარებული იყო, იფეთქა რევოლუციამ. მხოლოდ სამშაბათს საღამოს მოვიდა დეპეშა ინგლისის დესპანისაგან, რაიცა გა- მოაქვეყნეს ხუთშაბათს. მეტი ცნო- ბა არ არის. მეფის სახლეულების ადგილსამყოფელი არ იციან. ჰფიქ- რობენ, რომ ის არ არის ჯავშნო- სან „ნიუ-კესტლზე“. პორტუგა- ლიისა და ესპანიის დესპანებმა ინა- ხულეს სტატს სეკრეტრის ამხანაგი ნიკოლსონი.

**მადრიდი.** გაზეთი „მანანა“ იუ- წყება, რომ მანუელი გაიქცა ინგ- ლისის მისიაში. დროებითი მთავ- რობა ურჩევს ხალხს პატივისცემით მოეპყრას სამეფო სახლეულებას. დროებით მთავრობის წევრი მაშადა ათვალიერებს ქალაქებსა და სოფ- ლებს და ურჩევს მშვიდობიანობა დაიცვან. სატახტო ქალაქში უშვე- ბენ მხოლოდ რევოლუციონერთა მომხრე ჯარებს. მეფის თანადასწრე- ბით შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა პორტუგალიის ამბებისა გა- მო. კანალეხასმა სასახლის დახურვე- ბის დროს განაცხადა, რომ მეფის ადგილ-სამყოფელი არ უწყიან. ლი- საბონთან მიმოსვლა არ არის აღდგე- ნილი. სანტარემში მოსულებს ყვე- ლას აკავებენ და არ უშვებენ.

**ლისაბონი.** დროებითმა მთავ- რობამ დანიშნა სამოქალაქო გუბე- რნატორები ყველა პროვინციებსა. [illegible] პრეზიდენტი [illegible] ფონსეკამ თეოფილ ბრაგას თანხ- ლებით გაიარა სატახტო ქალაქში ავტომობილით. მოვიდა ინგლისის კრეისერი „მინერვა“. ჯართა ნაწი- ლი ლისაბონსა და გამაგრებულს ბანაკებში წინააღმდეგია პირველის მთავრობისა. პროვინციიდან ცნო- ბები არ არის.

**ვიგო.** ლისაბონიდან მოსულ გე- მის მგზავრები ამბობენ, რომ წასვ- ლის დღეს პოლკი ჰერცოგის ოპორ- ტელის წინამძღოლობით ესროდა ხალხს; რევოლიუციონერთ აიძულეს პოლკს იარაღი დაეყარა. მოკლულ და დაჭრილია ათასობით.

**ლონდონი.** ღამის პირველ სა- ათზე „რეიტერმა“ ცნობა მიიღო გიბრალტარიდან, რომ მეფე და დე- დოფალი „ბეჩია“ გემზე იმყოფებიან.

**პარიზი.** ჰავასს ატყობინებენ ლი- საბონიდან, რომ გემი „ამელია“ მე- ფის ოჯახობით ინგლისის ; ზღვაზეა. მთავრობამ მიიღო ზომები მეფისა და მისის ოჯახობის უზრუნველ სა- ყოფელად. მარია პია იტალიაში გა- ემგზავრება.

**მადრიდი.** პალატა. რესპუბლი- კელმა ასკარატემ განაცხადა, რომ ჰფიქრობს, მთავრობა დაიცავს სას- ტიკს ნეიტრალიტეტს პორტუგალი- აში მთავრობის ფორმის შეცვლისა გამო. ორატორი თხოულობს გან- მარტებას საზღვარზე ჯარებისა და ლისაბონში სამის სამხედრო გემის გაგზავნისას და სწუხს, რომ ესპა- ნიის რესპუბლიკელთ ნება არა აქვთ სიმპატია გამოუცხადონ პორ- ტუგალიელთ. კანალეხასმა უპასუხა, რომ მთავრობამ მიიღო ისეთი მო- წინააღმდეგე ცნობები, რომ არ შე- უძლიან აღიაროს რესპუბლიკის გა- მოცხადება უკვე აღსრულებულ საქ- მედ; ხმები დადის, რომ ლისაბო- ნში ისევ მოხდა შეტაკება, მეფის ერთგულ ჯარებს ძალაში მოემატე- ნენ; მთავრობას არ მიუღია ცნობა მმართველობას ფორმის შეცვ- ლის შესახებ ოფიციალ მდგომა- რეობის პირისაგან; ამიტომ ესპანია უნდა დასჯერდეს მხოლოდ პორ- ტუგალიის ამბების, როგორც ამბო- ხების, კვალიფიკაციით, რის შედე- გიც გამორკვეულია (აქ დეპეშა დამახინჯებულია...) სამხედრო გე- მები გაგზავნილია მხოლოდ ესპანე- ლთა დასაცველად, საზღვარზე ჯა- რები მოგროვილი არ არიან, მანდ მდგარნი ყოველთვის იღებდნენ ინ- სტრუქციებს.

**პარიზი.** საფრანგეთის ლისაბონ- მა დესპანმა უმავთულო დეპეშით ინგლისის გემიდან აცნობა პიშონს, მეფე და დედოფალი მაფრაში არია- ნო. აქ გადმოცემული ოფიოციალ დე- პეშა ლონდონიდან იუწყება, რომ მეფე მაფრაში არ არისო. კრეისერ- მა „მინერვამ“, რომელსაც ებრძა- ნა „ამელია“ გააკილოს, ვერ იპო ვნა იგი. ესპანიის მთავრობას ცნო- ბით, მეფე „ამელიაზეა“.

**ლონდონი.** მადერსა და აზირის კუნძულებზე მშვიდობიანად შეხვ- დნენ რევოლიუციის ამბებს. ოთხ- შაბათს საღამოს 11 საათზე რესპუბ- ლიკა გამოცხადებულ იქმნა მთელს პორტუგალიაში. ინციდენტები არ ყოფილა. მინისტრ-პრეზიდენტი უკა- ნასკნელის კაბინეტისა ტა სერასუზა რაფეტი ყუმბარით თავში დასჭრეს. რესპუბლიკელებმა შეიპყრეს რამდე ნიმე ოფიცერი, მათ შორის ირმე- ლისი, ფრანკოს კაბინეტის მინის ტრად ნამყოფი. თეოფილ ბრაგამ ინგლისის დესპანთან საუბრის დროს დაარწმუნა, რომ პორტუგალია აღ- ვსილია უღრესის პატივისცემით ინგლისის მთავრობისადმი; რესპუბ- ლიკელები განაგრძობენ ინგლისთან ძველ მეგობრობის პოლიტიკას.

**ლისაბონი.** მეფის ოჯახის წევრ- ნი სხვა და სხვა გზით გაემგზავრნენ მავრაში, საიდანაც მივიდნენ გემ „ამელიასთან“, რომელიც იდგა ღუ- ზზე ქალაქ ერისეინთან. დამოუკი- დებელ პროგრესისტთა პარტია და- ირღვა. პარტიის მეთაური ალფოი- მი რესპუბლიკას მიემხრო. პროვინ- ციის ჯარები რესპუბლიკელთა მხა- რეს გადადიან. მუნიციპალს გვარ- დიას იარაღი აჰყარეს, თუმცა მან მოისურვა რესპუბლიკის მომხრეო- ბა.

**ლონდონი.** „დეილი-ქრონიკლს“ ლონდონიდან დეპეშით აუწყებენ, რომ რევოლუცია მოულოდნელად მოხდა თვით რესპუბლიკელთა კო- მიტეტისათვის; მცხოვრებნი გულ გრილად დახვდნენ. 20 სექტემბერს საღამოს აფეთქებული ამბოხება უცაბედად დაატყდა მთავრობას. ქალაქის კომენდანტი და ბევრი ოფი- ცერი ლისაბონში არ იყვნენ. აჯან- ყებულმა არტილერისტებმა შეიპყ- რეს კაზარმებში მყოფი ოფიცრები და მცხოვრებთ იარაღი დაურიგეს. მზის ამოსვლისას მეზღვაურებმა კა- ზარმებზე რესპუბლიკური ბაირაღები აღმართეს; ამავე დ[illegible] ბაირაღები გაშალეს სამ სამხედრო გემზე. კრეისერებმა ზარბაზნები დაუშინეს ნესესიდადეს სასახლეს მეორე სრო- ლით ჩამოჰგლიჯეს მეფის ალამი. მანუელ მეფე ჯერ მშვიდობიანად უმზერდა ზარბაზნების სროლას, შე- მდეგ ამალის რჩევით დასტოვა სა- სახლე. რესპუბლიკელები ეძებდნენ მეფეს ბრაზილიის კრეისერ „სან- პაოლოში“, მაგრამ გემის უფროსმა არ შეუშვა. კრეისერთა სროლით სამხედრო და საზღვაო სამინისტრო- ებში მოჰკლეს ბევრი ხოხელი, რამ- დენიმე მუნიციპალი გვარდიელი და ბევრი მაყურებელი. ქუჩებში ხდე- ბოდა ძლიერი არტილერიის ბრძო- ლა და მეფის ერთგულ ჯარებსა და რევოლიუციონერთ შორის. მონარ- ქისტული ჯარები, განსაკუთრებით მუნიციპალი გვარდიელები, 30 საათს იბრძოდნენ გასაოცარის სიმამაცით და ისარგებლეს სიბნელით თავის პოზიციების გასამაგრებლად.

**გიბრალტარი.** ნავთსადგურში მყოფმა ინგლისის გემებმა და ამერი- კის კრეისერმა ბაირაღები გაშალეს და მიესალმნენ მოსულს პორტუგა- ლიის მეფის ოჯახობას. გუბერნა- ტორის შტაბის ოფიცერმა სალამი მისცა მანუელ მეფეს გემში. ჰფიქ- რობენ, რომ სამეფო ოჯახი ნაპირ- ზე გადავა.

**ლონდონი.** რესპუბლიკის ბაი- რაღი მადეირზე აღმართეს უინციდ- ენტოდ.

## საზღვარ-გარედ

**ჰამბურგი.** გემის აღმშენებლის მომუშავეთა და მუშაობის მიმცემთა შორის უკმაყოფილება დაშოშმინ- და- განზრახული საყოველთაო ლო- კაუტი მეტალლურგიის მრეწველო- ბაში არ მოხდება.

**ურმია.** ხოიდან იუწყებიან, რომ დაარსდა სააქციონო გამგეობა, რო- მელმაც საზოგადო უკმაყოფილება გამოიწვია, იჯალად ულ მულკის ბრ- ძანებით შეუდგნენ ადგილობრივ სა- რბაზთა მობილიზაციას.

**სან-ფრანცისკო.** გემ „ხიოზე,“ რომლითაც პრინცი ძაისუნი ჩინეთ- ში წასვლას აპირებდა, შეიპყრეს 10 შეიარაღებული ჩინელი. ერთი, წე- ვრი რევოლიუციონურ საზოგადო-

# ღამის ზღაპარი

— მე ის შემთხვევით გავიცანი— არტისტულის კილოთი დაიწყო ერ- თმა ჩვენმა ამხანაგთაგანმა, როდე- საც, ზაფხულის ერთ მშვენიერ ღა- მეს ქალაქ გარედ ბაღში ვისხედით. დიახ, მე იმას შევხვდი ერთ უდა- ბურ ადგილს, სადაც იშვიათად თუ ჩვენს მეტი ვინმე გაივლიდა. ის იყო გამხდარი, ნაზი აგებულებისა, მისი მოძრავი თვალები დაკვირვე- ბით გამოიყურებოდნენ მიბნედილ გუგათა სიღრმიდან. ოდნავის და თანაც ხშირის ღიმილით სცდილო- ბდა დაეფარა თავისი სახის მთლიანი დაღი უკმაყოფილებისა, რომელიც დუხჭირ ცხოვრების გავლენით ზედ დარჩენოდა. პირველად იჭვის თვა- ლით შევხედე და გვერდი აუხვიე.

— მობძანდით! მომაძახა მან თა- ვაზიანის კილოთი,—ასეთ მოხერხე- ბულსა და მარჯვე ადგილს ვერსად შეხვდებით. სწორედ საგანგებოა! აქეთ, აქეთ მობრძანდით, თორემ მანდეთ დიდი კლდეა, და შეიძლება გადაიჩეხოთ კიდეც. მობრძანდით!

— კლდე? რის კლდე? მე აქ ხში- რად მივლია.—მივუგე და მივესალმე. მას გაეღიმა და მითხრა:

— აბა ჩაიხედე, აი, მანდვე, ხის ძირთან.

— მაშინ შევამჩნიე, რომ ორი თუ სამი ნაბიჯის გადადგმით საუ- კუნოდ დავასრულებდი ჩემს თამამ მოგზაურობას. საოცარი ციცაბო კლდე იყო. უნებურად შევხტი და უკან დავიწიე.

— ოო, გახსოვთ თქვენი სიტყ- ვები? ძალიან დინჯად და დარწმუ- ნებით კი მიემგზავრებით, რომ ცო- ტა მეტი დაკვირვებაც გქონოდათ, ხედავთ, რა ყოფილა. აქ ბევრს მო- უტეხია კისერი და ამიტომაც არის, რომ ამ ადგილს ხამი კაცის მეტი თითქმის არავინ ენდობა.

— მაინც მშვენიერი ალაგია,— შევეცილე მე ლაპარაკში,—თქვენი გემოვნება ნამდვილი პოეტურია. წარმოიდგინეთ, მუდამ აქითკენ და- ვიარებოდი და ერთხელ ფიქრადაც არ მომსვლია ცოტა მეტი შრომა მიმეღო და აქამდე ამომეღწია...

— მე კი სულ აქ ვდამებ, მიყ- ვარს ეს ადგილი. ვზივარ ხოლმე აი, ამ ქვაზე და გადავცქერი ძირს ხალხის მოძრაობას, აქედანაც კი აშკარად და გარკვევით ვარჩევ მტერს, მოყვარეს, ნაცნობსა და ნა- თესავს და თუ ერთს ოცნებით ვე- ალერსები გულწრფელი თანაგრძნო- ბისათვისა სამაგიეროდ მეორეს კბილს ვუღრჭენ, ვემუქრები—მის დავრდომილთა და ანგარებით სავსე არამ სხეულს, რომელსაც შევალიე უმთავრესი ძალა ჩემი არსებობისა, ძალა ჩემი ოდესღაც ძლიერი სუ- ლისა..., ახლა კი... ახლა სჯობია სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ჩვენ, ადამიანები, ხშირად იძულებული ვხდებით ვილაპარაკოთ ისეთ რამეზე, რომელიც ზოგიერთ შემთხვევას არ შეეფერება...

მან უცებ შესცვალა კილო და ისეთის გაბედვითა და სითამამით დაიწყო რაც პირველად მიადგა ენაზე, ისე მოურიდებლად მიცინო- და, თითქო მისი დიდი ხნის უნახავი მეგობარი ვყოფილიყავი.

ის ლაპარაკობდა მშვიდობრად, გარ- კვევით და თანაც ხელის ოდნავი მოძრაობით გადადიოდა ერთი სიტყ- ვიდან მეორეზე, რაც მუსიკასავით ნაზად ხვდებოდა ჩემ ყურს, ხიბლა- ვდა და ატკბობდა სმენას... უდიდეს ნეტარებასა ვგრძნობდი, რამაც ერთბაშად შეარყია ჩემი აზროვნება და რწმენაც კი... ყოველი მსოფ- ლიო სურათი თვალწინ დამეხატა; ყოველივე შესაძლებელი მეჩვენა, სამოთხე, ჯოჯოხეთი თავის მშვენი- ერ ცხონებითა და საშინელ წამებ- დით; ბედი, უბედობა, სიყვარული, სიძულვილი და სხვა ათასი ზღაპ- რული თქმულება-მოჩვენებანი, რო- მელთა შესახებ მუდამ ირონიულად გამიცინია, არარაობით და გონების წამხდარ ნაყოფად ჩამითვლია...

ის ლაპარაკობდა... ლაპარაკობ- და, რომ ხის აუცილებელ ზრდისა- თვის მიწაა საჭირო, რომ ფოთლე- ბი და ყვავილები მარტო სიკოხტა- ვისთვის არ გაუჩენია ბუნებას და ხეებმა ადამიანებივით პრანჭობა არ იციან. ლაპარაკობდა: როგორის თანდათანობით მოცოცავენ მთის მწვერვალებიდან უთვალავი ქვები, ჩამოდიან ბარად და ამ ცოცვის დროს როგორ ლამაზდებიან, რო- გორ მშვენიერ სახესა და იერს ღე- ბულობენ; ლაპარაკობდა რომ სი- ლამაზე ღმერთია ადამიანთა ბუნე- ბისა, შინაარსია ჩვენი ცხოვრებისა, მკვიდრი და შეურყეველი საფუძვე- ლია თვით სიყვარულისა... ერთი სიტყვით ლაპარაკობდა იმის შესა- ხებ რაც მე ათასჯელ გამიგონია და კარგადაც ვიცოდი, მაგრამ... არა, მე დღემდე მგონი არაფერიც არ ვიცოდი, თითქო დღემდე არც კი მენახა ნამდვილი ადამიანი და მთელი სიცოცხლე მიტარებია, რო- გორც უბრალო გლახა ტიალ ჰინ- დორში, ან როგორც ბრმა მწირს ყრუ უდაბნოში.

პირველად ცხედავდი კაცს, ადა- მიანს... პირველად ვისმენდი მის ოქროს სიტყვებს, ლაპარაკის ნაზ- სა და ალერსიან კილოს. მინდოდა ელაპარაკნა მას თუნდა ამაზე უფ- რო საანბანო რამეზე, რომელთა შესახებ მხოლოდ პირველი კლასის მოწაფეებს ესაუბრებიან ხოლმე. დიახ მინდოდა ელაპარაკნა იუნდა იგი სიცრუე, აშკარა ტყუილი ყო- ფილიყო, ეთქვა რომ ფოთლები ხი- სავით სრულიად საჭირო არ არის, არამედ—როგორც ტლანქი შეც- დომა ბუნებისა, საზარალოა და მავ- ნებელი. რომ ქვები ზევიდან ქვე- ვით კი არა, ქვევიდან ზევით მი- ცოცავენ და ეს ვეებერთელა სოცი- ნებო გორები თვალ უწვდენი მთე- ბი და კლდე ამ გვარად ამართულა და აშენებულა... მაგრამ ყველაფერს თავისი ბოლო, თავისი დასასრული ჰქონია...

— მოგეწყინა? შემეკითხა ის და- ბოლოს.

— რასა ბრძანებთ! უდიდესად ვსიამოვნებ!.. ბედნიერი ვარ, რომ შეგხვდით... თქვენი საუბარი ძალი- ან მომწონს.

— აა, გმადლობ გულ-ახდილობი- სათვის. მე ყველაფერს ვკითხულობ თქვენს სახეზე, მე მესმის თქვენი ალალი გულის ცემა. თქვენი სუ- ლის მოძრაობა... და მეც, ამ ჩემი სიცოცხლის მილეულ წუთებში. თქვენ, მგონი, ხედავთ რომ ავადა ვარ, ქლექით... დიახ, მადლობელი ვარ, რომ ჩემი სიცოცხლის უკა- ნასკნელი და ისეთაც მკრთალი ნა- პერწკალი აქ, ამ უდაბურ ადგილ- საც კი უბრალოთ არ ჩაქრა და ვინ იცის, იქნება უკანასკნელი ვალიც ახლა გადავიხადე, ვალი არა კერ- ძო, მარტო თქვენი, არამედ საზო- გადო, საკაცობრიო...

მან ჩემსკენ წამოიწია. ორივე ხე- ლები გამოიშვირა და აღტაცებით ჩამაცქერდა, თითქო უნდოდა მო- მხვეოდა გულში ჩასაკრავად, მაგ- რამ შედგა, უკან დაიხია ოდნავ გა- იღიმა.

— ეს კი მეტის-მეტი იყო, ჩემო მეგობარო, და რამდენიმედ თავ ხედურიც.—წამოსთქვა მან თით- ქოს სინანულით.—მაპატიეთ. გულ- ახდილობის დროს ჩვენი გრძნობე- ბი თავის ბუნებრივ საზღვრებში ვე- ღარ ეტყვიან და უნებურად გვა- რღვევენ წარმ-შეკრულ სიბრძნის წინაშე...

მაინც ორივე ხელები მაგრად და- მიჭირა და წრეს გადასული აღტა- ცებით განაგრძო.

— ო, მე მიყვარს ადამიანი! მიყ- ვარს იმისი მუდმივ მოძრავი გონე- ბა, მისი თავდაუჭერელი გიჟი გრძნო- ბა, მიყვარს იგი ამაყი მეფე დიადი ბუნებისა, როდესაც გაშმაგებული გამოიჭრება ბრძოლის ველზე თა- ვის ნათელის სახით, როდესაც თა- ვისივე ხელით იდგამს გვირგვინს გა- მარჯვებისას!.. მიყვარს მე იგი ქამ- სა მას დამარცხებისასაც, როდესაც ძმათ მოსილი დასტირის დაკარ- გულ ბედნიერებას, ძმას, მეგობარს, ნაცნობსა და უცნობს... მიყვარს იმისი გულიდან ლაღად ამოხეთ- ქილი ქვითინი. ქვითინი,—ეს და- დი და წმინდა ხარკი სათნო გულისა- სა, ზვარაკი უსაზღვრო სიყვარუ- ლისა და თავ-დავიწყებისა!...

... დიახ, მე მიყვარს ადამიანი! მიყვარს იმისი ნაზი გრძნობა, წრფე- ლი გული. სპეტაკი სინიდისი, პატი- ოსნება!.. იგი მუდმივი დარაჯი ჭეშ- მარიტებისა, უშრეტი წყარო ყო- ველთა კეთილთა!.. მძულან მხო- ლოდ მხეცნი!.. ნადირნი, რომელ- ნიც უპირველეს ყოვლისა თავიანთ ბასრს კბილებს გიჩვენებენ. გრძელ- სა და მწვეტიან ბრჭყალებს დაგა- ნახვებენ, დაგცქერიან ცივის თვა- ლით. როგორც უბრალო მძოვრს, მისთვის გემრიელ ლუკმას!.,

ის ერთბაშად შედგა. ხელები გულზე დაიქდო და ხანგრძლივ დამა- შტერდა. მისი თვალები შავი ისრე- ბივით ამოდიოდნენ მოღუშულ წარ- ბებ ქვეშიდან და გულში მესობოდა.. სხეულის ყოველ ნაწილში...

— სთქვი, კიდევ სთქვი რამე!.., სულ ცოტა... ორიოდე სიტყვა... გულიდან შევეხვეწე და კალთაზე მოვეჭიდე.

ის მაინც პასუხს არ მაძლევდა, პირიქით ცდილობდა თავისი კალთა გაენთავისუფლებინა, და გამშორებო- და, გაქცეულიყო ჩემგან, გადიკარ- გულიყო სადღაც შორს,—უხილავ ადგილს..

— არ გაგიშვებ, არა! ვბუტბუ- ტებდი მე და მეორე ხელიც წავატა- ნე. ის რაც ძალი ჰქონდა მიიწევდა მაგრამ ამაოდ. მე ხერხიანად შემო- ვაკვანძე ფეხი ერთი ხის ძირს და ამით ჩემი გამარჯვება უზრუნველ ვყავი.

— გამიშვი.. რა გსურს? წარმოს- თქვა შემკრთალის და თანაც ზიზ- ღით სავე ხმით.

— რა მსურს?.. მინდა რომ ილა- პარაკო,..

დაბნევით ვუპასუხე და უნებუ- რად დავიწყე როშვა მის მიერ ნათ- ქვამი სიტყვებისა.

— ჰო, შენ ამბობდი... თქვენ ამ- ბობდით... დიახ ამბობდით რომ ადამიანი... კაცი, როდესაც იგი გლო- ვობს დაკარგულ სატრფოს, დაღუ- პულ მიზანს... როდესაც იგი იბრ- ძვის... ამბობდი სინიდისზე... ჭეშმა- რიტებაზე, პატიოსნებაზე .. შენ... თქვენ კარგად ამბობდით, მომხიბ- ლავად... დიახ, მეც მიყვარს ადამი- ანი. პატივსა ვსცემ, სიცოცხლეს შევსწირავ... ვივიწყებ ჩემს თავს, ყოველივეს ვივიწყებ... და მეც მძულს, მეჯავრება მხეცნი, ნადირ- ნი თავიანთი მუდმივი სიმუნჯით, ურცხვო თვალებით, რომელთაც

ების, გამოტყდა პრინცის მოკვლის განზრახვაზე. დაჭერის დროს მან რამდენჯერმე რევოლვერი ისროლა.

**რომი.** საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა გამოსცა პირველი წიგნი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ. ამ გამოცემაში შევიდნენ ცნობანი გერმანიისა, ავსტრიისა, შეერთებულ-შტატებისა, დიდი ბრიტანიისა, იტალიისა, დანიისა და იაპონიის სასოფლო სამეურნეო კოოპერატიულ საზოგადოებათა შესახებ. ორის უკანასკნელის შესახებ მონოგრაფიები შედგენილია მათ მთავრობათა მიერ. ინსტიტუტი გამოსთქვამს იმედს, რომ ყველა სახელმწიფოთა მთავრობანი მასალების გამოგზავნით დაეხმარებიან საზოგადოებას.

**კაპშტადტი.** ლოზნერგში გენერალი ბოტა გაერთიანებული პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს.

**ჰელსინგფორსი.** იტალიის კრეისერი „ეტნა“ ლისაბონისკენ გაემართა.

**ბერლინი.** პორტუგალიის რწმუნებულმა ოფიციალურად აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ პორტუგალიაში სახელმწიფოს მმართველობა შეიცვალა.

**მადრიდი,** ოფიციალურად იუწყებიან, რომ პორტუგალიის მეფე მანუელი, დედოფალი და ჰერცოგი ოპორტისა მშვიდობიანად მივიდნენ გიბრალტარში და ნაპირზე გადავიდნენ. იგინი მიიყვანა გემმა „ემალიამ“, რომელზედაც პორტუგალიის ეროვნული დროშა ფრიალებდა.

**ლისაბონი.** მარშალი დე,ფონსეკი „სან-პაოლოს“ კრეისერით ბრაზილიაში გაემგზავრა. აქ მოვიდა ბრაზილიის კრეისერი „ბარროზო“.

**პარიზი.** ნასრულ-მულკმა თანხმობა განაცხადა მეჯლისის რეგენტობაზე.

**ჰელსინგფორსი.** სენატმა მიწერილობა გაუგზავნა გუბერნატორებს, ლონისძიება მიიღონ, რათა უმაღლესი სურვილის თანახმად, ჩამორთმეული მიწები სამხედრო უწყებას დაუყოვნებლივ ჩააბარონ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო უარჰყოფს გავრცელებულ ხმებს, ვითომც ინგლისის მთავრობამ პორტუგალიის რესპუბლიკის თაობაზე რაიმე იცოდეს, და ვითომც ინგლისის ელჩს მოლაპარაკება ჰქონოდეს რამე რესპუბლიკის მეთაურებთან.

**ბუქარესტი.** გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი ვენაში გაემგზავრა. წასვლის წინედ ხელმწიფე ეახლა მეფეს და ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ. მინისტრის გამგზავრებას პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ.

**პარიზი.** მადრიდიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მეთერთმეტე არტილერიის პოლკი, ლისაბონში ცხარე ბრძოლის შემდეგ, რესპუბლიკის ჯარმა დაამარცხა; პოლკი დაჰნებდა, მასთან ერთად სამი ქვეითა პოლკი რესპუბლიკას მიემხრო. სულ დაიღუპა 3000 კაცი. სეტაბლში მეფის მომხრე ცხენოსან ჯარსა და ქვეითა ჯარს შეტაკება მოუხდათ. მოკლული და დაჭრილი 200 კაცია.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** გაკოტრებულ მოვაჭრის პროტასოვის საქმეთა განმხილველ საკონკურსო გამგეობის სხდომაზე პროტასოვმა რევოლვერით მძიმედ დასჭრა თავში გამგეობის თავმჯდომარე აქციონერთა საზოგადოების დირექტორი შუვალოვი.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტრო არღვევს გაზეთების ცნობას სტუდენტთა ორგანიზაციების გამოცირკულიარულ განკარგულებათა გამოცემის შესახებ. აღნიშნულ ორგანიზაციების მოქმედება სწარმოებს მხოლოდ 1907 წლის 11 ივნისის წესებით.

**ვარშავა.** გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებით აკრძალა გაფიცვათა წამქეზებელ წერილების მოთავსება გაზეთებში.

**ეკატერინოდარი.** გაიხსნა კრება შემნახველ გამსესხებელ და კოოპერატიულ სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა წარმომადგენლებისა.

**იშიმი.** საპატიმროში ორი პატიმარი გაქცევის განზრახვით თავს დაესხა მეთვალ-ყურეს, ერთი მოჰკლეს, მეორე მძიმედ დასჭრეს, რომელმაც თავის მხრივ მეთვალ-ყურე დასჭრა და თავიც მოიკლა.

**ბალახანა.** საერობო კრებამ დაადგინა 1911 წელს დაამთავროს მაზრაში საყოველთაო სწავლა-განათლების გეგმა, აგრეთვე მიიღოს ზომები ბავშვების ფიზიკურად გასაჯანსაღებლად.

**ნოვოჩერკასკი.** მარიევის საკრედიტო ამხანაგობის გაცარცვის საქმისა გამო სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა ოთხს სიკვდილით დასჯა, სამს კატორგაში გაგზავნა თუთხმეტ წლამდის.

**პეტერბურგი.** მიწის მოწყობის მთავარ გამგეობაში ივანიცკის თავმჯდომარეობით გაიხსნა საგანგებო თათბირი თურქესტანსა და ამიერ კავკასიაში მორწყვისა და დასამუშავებელ თავისუფალ სახელმწიფო მიწების კერძო მწარმოებელთადმი გადაცემის პროექტის განსახილველად.

# ახალი ამბები

## ტფილისი

**◆ ერლიხის „606“ ტფილისში** ამ დღეებში მიხეილის საავადმყოფოში ერლიხის პრეპარატით „606“ უწამლეს ათაშანგითა და ციებ-ცხელებით ავადმყოფებს. ათაშანგიანებზე „606“-მა იმდენად კარგად იმოქმედა, რომ ჩქარა რჩებიან, ხოლო „606“-მა ციებით ავადმყოფებზე ჯერ-ჯერობით არავითარი გავლენა არ იქონია.

**◆ ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 27 სექტემბერს, ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოჰხდება. დარჩენილ საქმეთა გარდა საბჭო განიხილავს, სხვათა შორის, საგუბერნიო სამმართველოს დადგენილებას, რომელიც შეეხება ტრამვაის მოძრაობის შესახებ სავალდებულო დადგენილებათ და გამგეობის მოხსენებას გუბერნატორის მიერ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის ნორმალურ დასვენების სავალდებულო წესების გაუქმების შესახებ.

**◆ ხოლერიანთა რიცხვი ტფილისში** ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 24 სექტემბრის დილის 9 საათიდან 25 სექტემბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 1 კაცი. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო ორი ავადმყოფი, მოემატა—1, არის—4.

**◆ ჯარიმა.** სოფ. ბუქნარში (გურია) წარსულს ზაფხულს ვიღაც უცნობებს მოუკლავს პ. შალიკაშვილი. ამ მკვლელობის გამო ბასილეთის საზოგადოებისთვის ამ დღეებში ადმინისტრაციას 500 მ. ჯარიმა გადაუხდევინებია.

**◆ ქართულს გიმნაზიაში.** „სახალხო ფურცელის“? — „საქმე“-ს სიტყვით, გიმნაზიის გამგე კომიტეტს დაუთხოვნია ამ სასწავლებლის მასწავლებელი ნ. გ. გოგიტიძე.

**◆ სასულიერო სემინარიის ძველი შენობა.** სემინარიის მთავრობას გადაუწყვეტია სასულიერო სემინარიის ძველი შენობა იჯარით გასცეს. იჯარით გაცემა მოჰხდება 2 ოქტომბერს.

**◆ დაკარგული.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ: 24 სექტემბერს, დილის 11 საათზე მშობლების ბინიდან (ალიხანის ქუჩა) ვერაზე ნათესავთან წავიდა 15 წლის ქალი თამარა ბათიაშვილი, მაგრამ აღარც იქ მისულა და დღემდე არც სახლში დაბრუნებულა. ქალს თეთრი ჩითის კაბა აცვია. ვინც იცის ქალის ბინა, სთხოვენ ქალის მშობლებს აცნობონ.

**◆ ხოლერა ამიერ-კავკასიაში.** ტფ. გუბერნიაში: 8-დან 16 სექტემბრამდე ხოლერით ავად გახდა 5 კაცი, გარდაიცვალა—2. ყარსში: 21 სექტემბერს ავად გახდა—1, გარდაიცვალა—1. განჯის გუბერნიაში: 18-დან 22 სექტემბრამდე ავად გახდა 3, გარდაიცვალა—2. ბაქოს საგრადონაჩალნიკოში: 19 და 20 სექტემბერს ავად გახდა—6, გარდაიცვალა—1. ბაქოს გუბერნიაში: 15-დან 21 სექტემბრამდე ავად გახდა 7, გარდაიცვალა—9.

**◆ ხოლერა ტფილისში.** პოლიციის ცნობით, 24 სექტემბერს ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

**◆ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებაში.** ამ დღეებში საზოგადოებამ თავის კრებაზე დაადგინა თავასი ერთკლასიანი სკოლა სოფ. ქაქუთში (ოზურგეთში მაზრა) გადააკეთოს ორ კლასიანად.

**◆ ქართულ წარმოდგენების მმართველი სექცია.** ნაძალადევში დაარსდა ქართულ წარმოდგენის მმართველი სექცია, რომლის წესდებაც უმაღლესმა მთავრობამ უკვე დაამტკიცა.

**◆ გადასახლებულნი.** 24 სექტემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო სიღნაღის მაზრის, სოფელ შიბლიანის მცხოვრები ალექსი საბას-ძე ზირაქიშვილი, რომელიც ადმინისტრატიული წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

**◆** 24 სექტემბერს საერთო ჩხრეკა. დაპატიმრების დროს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 25 უპასპორტო.

**◆** გამოვიდა „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი (38) ნომერი, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია: „რით გავიმარჯვებთ“? მეთაური; „ქართული თეატრი და ეროვნული ენა“, კორდელისა; „მოხსენება თეატრის შესახებ“, (გაგრძელება) აკაკისა; „იმერელი კლუბის მოსახლეობა“, ნ. დოროქიფანიძისა; „ურუ სოფელში“, (დასასრული) იგ. ჭავჭავაძისა; სათეატრო მიმოხილვა, წვრილი ამბები, ლექსები, სურათები და სხ.

# დეპეშა

25 სექტემბერი.

**ფოთი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა, ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრებთან შეთანხმებით, დაამტკიცა ფოთის ქალაქის საბჭოს დადგენილებანი 1) დაწესებულ იქმნეს ადგილობრივ პორტში შემოტანილ საქონელზე საფუთო გადასახადი ქალაქ ფოთის სასარგებლოდ, 1909 წლის 24 მაისის კანონის თანახმად: აგურზე $1/10$ კაპ., ხე-ტყეზე-$1/4$ კაპ., შავ-ქვაზე-$2/5$ კ., სხვა საქონელზე $1/2$ კ.

გუბერნიის მთავრობამ 6 და 14 სექტემბრის არჩევნები დაამტკიცა.

ქალაქის მოურავი ნ. ნიკოლაძე.

# სადღეისოდ

დღეს იხსნება ქართული ტაძარი მელპომენისა, დღეს იქნება პირველი წარმოდგენა მთელის სეზონისა!

ვისაც კი ესმის თეატრის მნიშვნელობა, დღევანდელი დღე სადღესასწაულო დღედ უნდა ჩასთვალოს.

ვისაც უყვარს სამშობლო სცენა, სიხარულით უნდა მოეგებოს ამ დღეს.

ვისაც ახსოვს მწარე წარსული თავის ქვეყნისა, ბოლომით უნდა აევსოს გული, როდესაც დღეს პირველად სცენის ფარდა აიხდება და გამოჩნდება სპარსეთის ყაენი თავის მხლებლებიანად:

ვისაც ესმის დღევანდელი დღის სიცხადე მწარედ ჩაფიქრდება.

ვისაც სწამს მომავალი თავისს ქვეყნისა ნეტარების ცრემლს დააფრქვევს დიდებულ ლეონიძის ვაჟკაცობისა გამო...

მაგრამ თეატრი,—ქართული თეატრი,—განა მარტო დღეს იქნება სარკედ ჩვენის ცხოვრებისა!

არა თეატრი ის დიდებული სკოლაა, რომელიც უჩინრად, ხან ცრემლებისა და ხან სიცილ ქვეშ, აფაქიზებს ჩვენს გულსა და სულს, გვასწავლის სიკეთესა და ქველობას, გვაძულებს ავსა და ბოროტებას. მაშ, განა სასიხარულო არ უნდა იყოს ყოველივე ქართველისათვის ამ დიდებული ტაძრის კარების გაღება? განა შეგნებულმა ქართველმა უნდა დაიშუროს რამდენიმე გროში მისსაკუთრთხეველზე მსხვერპლის შესაწირავად?

ქართულ თეატრს მოკლე, მაგრამ დიდად საგულისხმო და საყურადღებო წარსული აქვს. მან აღამაღლა ქართველთა გულის-თქმა, მან გაგვიბრწყინა ქართული სათეატრო ხელოვნება, მან მოგვცა საყვარელი დრამატურგები, საყვარელი არტისტები, მანვე მოგვცა საშუალება სხვა ერთა შორის, ჩვენც თავი მოვიტანოთ და ქართულ შემოქმედებით ვიამაყოთ.

დიდია უხილავი ძალა და ზეგავლენა ქართულის თეატრისა ჩვენს საზოგადოებაზე, მაგრამ იგი არა ერთხელ ყოფილა განსაცდელში! ჩვენ არ გამოვუდგებით ამ განსაცდელის შემქმნელ პირობებს. დღეს ამისი დრო არ არის. დღეს-დღეობით სატირალი და საწუწუნო ჩვენ თეატრს იმდენი აღარა აქვს რა.

დრამატიულმა საზოგადოებამ მშვენივრად მოაწყო ქართული თეატრის საქმე: მოიწვია საუკეთესო არტისტები, დაახატვინა ახალი დეკორაციები, შეაკეთ-შეალამაზებინა თეატრის ფოიე, მოიწვია საუკეთესო რეჟისსორები, მოიწვია სცენის მოსაწყობად ცნობილი მხატვრები, შეადგინა დიდად საყურადღებო რეპერტუარი, რომელსაც აგერ თვენახევარზე მეტია გულმოდგინედ სწავლობენ და ითვისებენ ჩვენი მსახიობნი. ერთის სიტყვით, რაც კი მოსახერხებელი იყო და არის ჩვენ პირობებში, ყოველივე ნაღონებია და თუ ახლაც ცუდად წავიდა ქართული წარმოდგენების საქმე, საზოგადოებამ თავის თავს უნდა დაიბრალოს. მაგრამ არა, ჩვენა გვწამს, რომ საზოგადოება უკუაგდებს თავის გულგრილობას და ჩვენ თეატრთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, თამამად გასწევს წინ თავისდა საბედნიეროდ.

მაშ ვუსურვოთ ერთსაც და მეორესაც გამარჯვება.... ა.—

---

არ იციან ღიმილი, სიცილ კისკისი, არ იციან ტირილი, გლოვა, ძაძით შემოსვა... დიახ, მეც მძაგს იგინი, მძაგს... მძაგს!.. მაგრამ არა, მე არ მეხერხება ამგვარი ლაპარაკი, მე დავამახინჯე შენი მშვენიერი ოქროს სიტყვები, უბრალო, გამოუსადეგარ ლითონად ვაქციე... გთხოვ ისევ შენ.. ისევ შენ ილაპაკო ადამიანის შესახებ.. პატიოსნებაზე.. სინიდისზე...

გრძნობას ვეღარ ვიჭერდი- მინდოდა მივვარდნოდი და ძალით გამეღო მისი მიკუშული პირი. ამ დროს ის შეინძრა, გვერდზე შემოტრიალა და ერთ მხარეზე მიმითითა:

— აი, აი, ჰხედავ? დაინახე?

— ახ! შევყვირე მე და გულ შეღონებული მის მხარს დავეყრდნე.

— დახე, დახე! კარგად დააკვირდი, იქნება მიუხვდე განზრახვას!.. ჰექის ხმით ჩამომძახოდა ის და თან მაჯანჯღარებდა, რომ გამოვეფხიზლებინე.

ჩვენ წინ იდგა და გაშტერებით შემოგვცქეროდა ჩვეულებრივზე უფრო დიდი ტანის, კუპრივით შავი კატა. მას პირში პაწია კნუტი ეჭირა, რომელიც თითქო იხრჩობაო, საზარელის ხმით ჩხაოდა.

— დააკვირდი, დააკვირდი! რა უნდობის თვალით გვიცქერის! როგორ აჩხავლებს თავის საკუთარ შვილსაც კი!.. მეუბნებოდა ის და თან თითით მიჩვენებდა, თითქო არა სჯეროდა, რომ მე კატას კარგადა ვხედავდი.

ახლავე ამ დიდხეს მოეფარება და მაგის კვალიც გაჰქრება სამუდამოდ. სიალმათესთან საკმაო მოფიქრებაცა აქვს: თავის ნებით არასოდეს არ ჩაუვარდება პირში თავის მოსისხლე მტერს. უცქირე, უცქირე! იქნება მისი თვალების საოცარმა თამაშმა ცოტა რამ მაინც გვასწავლოს, და ხუმრობაა, ჩვენს დროებაში რომ მტერს რამეს ვამორჩეს კაცი? უცქირე, უცქირე!..

მე რაც შემეძლო ვაჭყეტდი თვალებს. ბრაზმორეული ჩემს ნაცნობს ხელით ვბღუჯნიდი და თან კატის მოსაკლავად მივიწევდი. ის საკმაო თავგამოდებით მთელი თავის სხეულით ეფარებოდა, წასავალ გზას არ მაძლევდა და თან დაჟინებით იმეორებდა.

— უცქირე, უცქირე!

— ვხედავ!.. ვხედავ!..—ვჩერვებ აშლილივით დავიწყე გაუთავებელი ყვირილი და მოთმინებიდან გამოსულმა ერთი ორი მუჯლუგუნიც წავუთავაზე.

კატა მართლაც იმ ხეს მოეფარა, რომელიც წინეთ ჩემმა ნაცნობმა დაასახელა.

— აახ! წავიდა!..—შევყვირე მე. მან გადიხარხარა და თან ირონიულად მიპასუხა:

— ნუ გენაღვლება! მას მუცელი არ დაამძიმებს და ვაგლახად არც ჩექმის ცხვირები გაუცვდება!..

ბუჩქებიდან შეუწყვეტლად მოისმოდა კნუტის ჩხავილი, რაც კარგა ხანს გაგრძელდა.

— კი დროს უშველა თავს!—წარმოსთქვა მან ოდნავი ღიმილით.

— ის მისი ღვიძლი შვილია!.. ის დაახრჩობს საბრალო კნუტს!..—მოვრთე მე ყვირილი, ასეთი საოცარი სურათის, ასეთი საცოდაობის თვალით დანახვა!.. შენ მართალი ხარ, ჩემო მეგობარო, სრულიად მართალი, რომ მხეცი საზოგადოდ საძაგელი, ბოროტი არსებაა... კატა ხომ განხორციელებული დაუნდობლობაა... შურის ძიებით გაჩენილი, რაღაც ჯოჯოხეთური ძალისაგან, რომელსაც ცხადია მიზნად ჩვენა ვყავდით ამორჩეული, ადამიანები...

მე უნებურად მის წინ დავიჩოქე. მას თვალები თითქო გასდიდებოდა, რაღაც დიდი, ბრჭყვიალა შავი ბურთივით ტრიალებდენ მის უზომოდ გაფართოებულს, ვეება სახეზე. თვითონაც დიდი, მთასავით აყუდებული მეჩვენა, რომელიც თითქო უნდა დანგრეულიყო და იქვე გავესრისე. უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე. ხელი დაუჭირე და ენა მოჭრილივით ღმუილი დავიწყე:

— არა... მხეცი... კატა აქ რა შუაშია!... მაშინ როდესაც თვით კაცი... ადამიანი... დიახ კაცი, როგორიც მე ვარ... ჰო... უნდა გითხრა, გამოგიტყდე, რომ... მე... მაგრამ რაღა საჭიროა, შენ უკვე იცი ყველაფერი... შენს თვალებს გაუგებელი არა დარჩებათ რა!.. მიცქირე, მიცქირე, თუ ღმერთი გწამს!.. აი, აგრე, ერთი ასად გაადიდე და აატრიალე! მაგათ ელვარებაში მეც კი ბევრ რამესა ვხედავ!.. ვხედავ რომ... მე არა ვარ ის ადამიანი, რომელსაც შენ კაცს ეძახი... კაცს!.. „ამაყ მეფეს დიდი ბუნებისას“... „ჭეშმარიტების მუდმივ დარაჯს...“ მე აი, როგორც ის კატა, ბოროტებით აღსავსე, სისხლის მოყვარული უფრო კი მარტო ოდენ სისხლის ვეება ბურთი ვარ... ეს ტანისამოსი... აი, ეს ოქროს ფულებიც მხოლოდ სისხლია და სხვა არაფერი!.. სისხლი ჩემი ნაცნობების და ნათესავების!.. მე არ დავინდე ჩემი მშობელი მამა, რომლის ერთად-ერთი მემკვიდრე მე ვიყავი და ძილის დროს ლოდით გავუჭეჭყე თავი, რომ დავპატრონებოდი მის სიმდიდრეს და დროით შევცურებულიყავი განცხრომისა და ანგარების მორევში... მე არ დავინდე თვით ჩემი საკუთარი ღვიძლი შვილიც, რომელიც იმედიანად შეჰყურებდა ჩემ მიერ სისხლით მოპოვებულ სიმდიდრეს!.. დავახრჩვე იმიტომ, რომ ის მაგონებდა უკანასკნელ წუთს ჩემი სიცოცხლისას, როდესაც ჩემი ქონება მას უნდა დარჩენოდა... ან და შეიძლებოდა ჩემთვის მაგიერი ეზღო, მაგიერი ჩემი წარსული მოქმედების ჯილდოთ... მის პაწია თვალებში უკვე იყო აღბეჭდილი ისტორია ჩემი ბნელი წარსულისა, და ამიტომ მე იგი დავახრჩე... მე კი დღეს პატიოსან კაცს მეძახიან!.. მთელი ქვეყანა პატივსა მცემს... მაღმერთებენ... ჩემი სურათებით მოფენილია მთელი ქვეყანა და მრავალი ხელი სწნავს ჩემთვის დაფნის გვირგვინს, გვირგვინს დიდებისას!.. დანარჩენსაც შენი თვალები გიამბობენ... შენივე თვალები, მაგათ ყველაფერი იციან!.. ყველაფერს გეტყვიან...

— მეც კარგად ვიცი! მეც ვიცი! ჩამძახა მან.—შენ ჩვენი საუკეთესო მხედარი ხარ, უპირველესი ქველმოქმედი, დიდებული მგოსანი!...

„სამშობლოს ცაზე გარსკვლავნი
კრთიან.
მიწაზე მდელო ბიბინებს მწვანე.
იგია ჩემი მშობელი დედა,
იგია ჩემი ტურფა სავანე...“

აი, ეს ლექსიც შენ გეკუთვნის. მაშასადამე მე შენ უთვალოდაც კარგად გიცნობ. მე ერთხელ თაიგულიც მოგართვი, რომლის ლენტზე ეწერა: „საზოგადო მოღვაწეს“, „დიდებულ კაცს...“

— კმარა! შევაჩერე მე პირზე ხელის დაფარებით.—ყოველივე ეს ტყუილი, ჩემი თვალთ-მაქცობით შექმნილი იყო. მე შევძელი მთელი ქვეყნის მოტყუილება... და აი, ჯილდოც ასეთი მეკუთვნის... აი, ასეთი!..

მე უცებ ამოვიღე რევოლვერი და მივიდე გულზე. საშინელმა ხმამ დაიგრიალა ჩემს ყურებში. სხეულის საოცარი სიმძიმე ვიგრძენი. თვალებზე ბურუსმა გადამიარა. წავიქეცი.

—ამის მდაბალ სულს თან ახლავს დიდებული გმირი,—ჩამესმა ყურებში მისი ხმა.—დამშვიდდი, სული მოიბრუნე! უკვე გამოსყიდულია შენი ცოდვები, უკვე განიფანტა ის შავი აჩრდილი, რომელიც იან დასდევდა შენს ნათელ საქმეს! გამხნევდი! თავისი თავის სამართლიანი დასჯა ეგ იგივე მკვდრეთით აღდგომაა. შენ უნდა იცოცხლო. ჭრილობა მსუბუქია. მე ახლავე მოვიწვევ ექიმს, რომელიც დაგიბრუნებს სიცოცხლეს, სიცოცხლეს ახლად შობილს, სიცოცხლეს წმინდას და პატიოსანს!..

მან უცებ მაკოცა და წასასვლელად გაემართა. მე ვანიშნე მობრუნებულიყო.

— ნუ მიდიხარ, ნუ! დავუწყე მუდარით,—მე, დედამიწის ჭუჭყი, ღირსი არა ვარ სიცოცხლისა... გთხოვ აიღო ეს ჩემივე ჯოხი და რაც ძალი გაქვს... დიახ, რაც ძალი გაქვს დამარტყა თავში... აი კიდევ ქვაც... აი რევოლვერი...

მან ყური აღარ მიგდო და რამდენიმე ჩქარი ბიჯი კიდევაც გადადგა ექიმთან წასასვლელად. მე ისევ მოვაბრუნე.

— გთხოვ... გეხვეწები... აი, ის საბრალო კნუტი გადაარჩინე. მე კიდევ მესმის იმისი უმწეო კნავილი... დაუბრუნე მას თავისი უმანკო სიცოცხლე... ის უძლურია... უმწეო...

მას გაეცინა. უცებ წამოავლო ჯოხს ხელი და მიეფარა იმ მხარეს, საითაც წეღან კატამ შეუხვია. „გადავარჩენ, უსათუოდ გადავარჩენ“, შესმოდა იმისი იმედიანი ხმა. მე დავმშვიდდი. ტკივილი სრულიად გადამავიწყდა. მოუთმენელის თვალით მივჩერებოდი იმ კვალს, რომელზედაც ჩემს ნაცნობს უნდა გამოევლო. ტყის სიღრმიდან მომესმა იმისი ხარხარი... აჩქარებული ფეხის ხმა. წარმოვიდგინე, რომ სრულიად კარგად, ჯან-საღად ვიყავ, რამდენჯერმე წამოვიწიე ასადგომად. მინდოდა მივგებებოდი და გადამეკოცნა, მაგრამ სისუსტეს თავი ვერ წავართვი. ისიც მოვიდა. თვალები სიხარულისაგან უბრწყინავდა. სახეზე დაღლილობა ეტყობოდა.

— უბრალო შემთხვევაა, სრულიად უბრალო! შემომძახა მან.—ჩვენი შიში უსაფუძვლო გამოდგა. ხა, ხა, ხა! ჩვენ შევცდით, და კარგადაც მოხდა. ის ყოფილა დედაკატა, რომელიც ასწავლის მას, აი, აქვე დიდ მუხასთან, ხტუნაობას, ხეებზე აცოცებას, თაგვებსა და კურდღლის ბაჭიებზე ნადირობას და კიდევ რაღაც ეშმაკურ რამეებს... ო, ის გონიერი და თანაც გამოცდილი აღმზრდელი ყოფილა, რომ ასეთ ალაგზე წამოუყვანია თავისი პირმშო. იგი წრთვნის მომავალ გმირს, სახელოვან მონადირეს... ხა, ხა, ხა! უნდა გაჩვენა, უნდა ნახო, როგორ ნავარდობენ, როგორ ლაღად და თავისუფლად გადადიან ყირაზე, როგორ სტკბებიან სიცოცხლით!.. ქვეყანა თითქო მარტო მათ სანავარდოთ გაჩენილა, მათ გასართობათ და თუ გნებავს, მათ ლუკმათაც!.. აი, სად ყოფილა სრული სიცოცხლე, უდაბურ ტყეში! ხა, ხა, ხა!

მე ასეთ ამბავს თითქო სრულიად არ მოველოდი. ერთბაშად შემეცვალა აზრი, სურვილიც... ყოველი სიტყვა ჩემი ნაცნობისა ცხელი ტყვიასავით მხვდებოდა გულში. გონებას

# პორტუგალია

ჩვენ მკითხველებს დეპეშებიდან ეცოდინებათ, რომ რევოლუციის მძლავრმა ქარიშხალმა შემოუქროლა პატარა სამეფოს—პორტუგალიას—და მისი წეს-წყობილება ძირიანად შესცვალა. აქ უკვე რესპუბლიკა იქმნა გამოცხადებული.

პორტუგალია ძლიერ პაწია სახელმწიფოა, სივრცით კავკასიის მეოთხედს თუ უდრის. მცხოვრებთა რიცხვიც ცოტაა, სულ 5 ნახ. მილიონი.

პორტუგალია მდებარეობს ატლანტიის ოკეანის პირად, ისპანიის გვერდით.

ეს პაწია სამეფო არა ერთხელ გადაქცეულა სისხლის ღვრისა და ამბოხების ასპარეზად. ადგილობრივი პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ეცილებოდნენ უფლებათა ხელში ჩაგდებას და მით თავის ძალის განმტკიცებას.

პირველი დიდი ამბოხება პორტუგალიაში იყო 1828 წელს.

1832 წელს ტახტიდან ჩამოგდებულმა მეფემ პედრომ ოპორტოს თავისი მომხრე ჯარი შემოარტყა.

აჯანყება მოხდა 1864 წელსაც.

1889 წელ. პორტუგალიაში კვლავ დაიწყო რევოლუციონური მოძრაობა. ცოტა გაწყდა მეფის ტახტი არ დასცეს.

წარსულ საუკუნის პირველ წლებში პორტუგალიამ დაჰკარგა თავისი ყველაზე უდიდესი და უმდიდრესი ახალშენი ამერიკაში—ბრაზილია. აქ ცალკე რესპუბლიკა იქმნა დაარსებული.

ახლა პორტუგალია, როგორცა ვსთქვით, სულ პაწია სამეფოა და საერთოდ ძალზედ ღარიბი ქვეყანა, თუმცა პორტუგალიელები მხნე და მუყაითი ხალხია. ამ მხნეობის ბრალია რომ პორტუგალია განათლებულ ქვეყნად ითვლება. სხვა კულტურული დაწესებულებანიც რომ არ დავასახელოთ, საკმარისია ვსთქვათ რომ პორტუგალიაში 15 უმაღლესი სასწავლებელია.

შფოთი და ამბოხება პორტუგალიაში სხვა და სხვა ნიადაგზე ხდებოდა. ხან სამეფო ტვარეულობას წევრნი გამოიწვევდნენ ხოლმე ამ ამბოხებას, ხან კი ათასის გადასახადებით შევიწროებული ხალხი მოთმინებასა ჰკარგავდა ხოლმე და ჯანყდებოდა.

პორტუგალიის უკანასკნელი მეფე მანუელ მეორე ტახტზე ავიდა 1908 წ. მას შემდეგ, როცა მისი მამა და უფროსი ძმა ლუი ფილიპე რევოლიუციონერებმა მოჰკლეს.

მანუელ მეორე ჯერედ უწლოვანი იყო და როგორც ეტყობა, სამეფოს მოვლის ნიჭიც ვერ გამოიჩინა.

უკანასკნელ დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ მეფე გაიქცა და აჯანყებულებმა პორტუგალიაში რესპუბლიკა გამოაცხადეს.

# უმაგალითო ვაჟკაცობა *)

მეოცე საუკუნე ჭეშმარიტად გამოგონებათა და აღმოჩენათა საუკუნეა.

ევროპის დიდ სახელმწიფოთა ერთიანმა მშვიდობიანობამ, თანამედროვე ადამიანის მთელი გონებრივი ძალღონე კულტურულ შემოქმედებისაკენ დაარუა. მეცნიერების ყოველი დარგი ელვის სისწრაფით წინ გაიქანა.

ბევრი რამ, რაც დღევანდლამდე გენიოსთა ოცნების ნაყოფად ითვლებოდა, დღეს სინამდვილის განცდად იქცა.

რადიუმი, რენტგენის სხივები, ჭლექის აცრა, უკურნებელ ათაშანგის უებარი წამალი, და სხვა და სხვა.

ბოლოს—ფრენაც...

ადამიანი იმორჩილებს ბუნების ყოველ მხარეს, იგი უახლოვდება ქვეყნის შემოქმედის ღვთაებრიობას, იგი ემსგავსება ნამდვილს, არსებითად განცისკროვნებულ და ძლევამოსილ მეფეს ბუნებისას.

სანამ ადამიანის შემოქმედება ყიბლანას (კომპასს) გამოიგონებდა, კაცობრიობა იძულებული იყო ზღვაზე ხმელეთის მახლობლად, მნათობთა მიხედვით, ეარნა, როგორც იალქნიან ისე ორთქლმავალ გემებით. ყიბლანამ ერთბაშად გზა გაუხსნა და ჰანძილის შემოკლების საშუალება მისცა ადამიანს. ყიბლანის მეოხებით უსაზღვრო ოკეანის წიაღი და თვით ულრანი, გაუვალი მთა-ღრეც კუმეტლამეშაც გაბედულად და შეუდრეკელად გადასერა ადამიანმა.

მაგრამ სტიქიონი თავის ძლიერებას მაინც იჩენს, მისი მედგირი ხვთქება, მისი ფეთქეულად აქოჩრილი და აზავთებული ტალღები ხშირად ჯავშნიან გემსაც კი ნაფოტებად აქცევს ხოლმე.

მაგრამ განუსაზღვრელია ადამიანის შემოქმედებაც.

შემოქმედ ადამიანის გონებამ, ამ ბოლოს დროს, ოკეანის ძლიერებასაც ფრთა მოსტეხა, აბუჩად აიგდო.

ბლერიომ ფრენით გადაიარა ლამანში და ძირს აქოჩრილ ტალღათა სრბოლის არხეინად დასცქეროდა, როგორც დასცქეროდის ხოლმე გამარჯვებული დამარცხებულის უმწეო ფართხალს.

ბლერიოს მეორე თანამემამულემ, ბარათაშვილისებურ სულის კვეთებით, თავშეუკავებელის, მედგარის და შეუდრეკელის სურვილით აღფრთოვანებულმა, ნამდვილის, და არა ოცნებით შექმნილ—მერანით, გაჰკვეთა ჰაერი, გადაიარა ტყენი და ღრენი, გაიპოქარი და ღრუბელთა სამყარო, გადალახა მწვერვალები ყინულოვან ალპის მთებისა და არწივისებურად გადაუქროლა მის სუსხიან ქედურებს.

ეს გმირი,—უმაგალითო ვაჟკაცურ გამბედაობით დამშვენებული,—ვინმე ფრანგი შავეზია.

— ბრიგიდან-მილანში!!.

სთქვა უებრო ვაჟკაცის კისკასმა მერანმა!..

სთქვა და შეასრულა კიდეც!

26 სექტემბერს მან გადალახა ალპის მთები, დაეშვა დომოდსოლში. ხოლო აქედან კი მილანისაკენ გაემართა.

მაგრამ, „წყეული ბედი ცვალებადია“, და შავეზის ბედიც უბედურად დამთავრდა.

იგი დომოდსოლის მიდამოებში ჩამოვარდა, ძლიერ დაშავდა და გარდაიცვალა კიდეც.

მაგრამ მისი მტკიცე, გარდუვალი სულის კვეთება, უკვდავია.

მან პირველმა მომაკვდავთა შორის ზევიდან დახედა მიუდგომელ, ულრან თოვლიან-ყინულიან ალპის მთებისა. მან პირველმა გაჰკვეთა გაუკვეთელი გზა-კვალ უწვდენელ სიმაღლისა.

დიდება უებრო ვაჟკაცობას!..

სახელოვნება შეუდრეკელ ლტოლვას უკვდავის მერანისას!..

უკვდავება ღვთაებრივ გამბედაობას!.

შავეზისთანა გმირების სულისკვეთება ვერ აიწერება!.

მათი არსება მხოლოდ ორის სიტყვით გამოიხატება:

— უკვდავი!.

— ღვთაებრივი!.

შავეზი დომოდსოლის ქალაქმა თავის ხარჯით დროებით მიაბარა მიწას. დასაფლავების დღეს მთელ-ქალაქის დუქან-მაღაზიები დაიკეტა.

დომოდსოლის ერთ მოედანს შავეზის სახელი უწოდეს.

მილანის მფრინავ კომიტეტის კრებამ დაადგინა, რომ 27 სექტემბერს ფრენაში მიღებული ჯილდო შავეზის საძეგლის ფონდისათვის გადასდოს.

ძეგლს სიმპლონის გზაზე ალმართავენ.

შავეზის გვამს შემდეგ პარიზში გადაიტანენ.

*) იხილეთ დღევანდელი დამატება, შავეზის სურათი.

მირევდა, მიგლეჯდა ნერვებს და ვიგრძენი საშინელი მწვავე, მოურჩენელი ტკივილი. ჩემი ნაცნობიც რაღაც ჩვეულებრივზე უფრო პატარა, საცოდავი არსება მეჩვენა. სუსტი, უძლური სხეული, მოქცეული სახე, თვალები თითქო ჩაკარგულიყო და ჩაჰქრობოდა სადღაც შორს, წარბების ბნელ კუნჭულში.

— აა, რაო? რა სთქვი?.. ნავარდობას ასწავლის.. ბაჭიებზე ნადირობას... ხეებზე აცოცებას?.. როგორ თუ ხეებზე აცოცებას?!. ეგ სიცრუეა. ის მან დაახრჩო, მიკლა!.. ნამდვილად ვიცი რომ დაახრჩო!.. ის უგულო, შეუბრალებელი მხეცია!..

მან უარის ნიშნად თავი გამიქნია.

— მაშ... აი რა... მე აკი ვამბობდი, რომ კატა ცბიერია მეთქი, მაცდური, მატყუარა!.. კატა იგივე გველია, ფეხებ ასხმული, რომელმაც აცთუნა ევა, სამოთხის შვილი...

ის კოპებ-შეკრული დამცქეროდა და თან თავის პაწია თვალებს ისევ აფართოებდა.

— აა? კვლავ შევეკითხე მე,—ხეებზე აცოცებას ასწავლის?.. ხეებზე აცოცება ხომ მეც ვიცი. ხუნვანავარდი... ნადირობა... ეს მეც კი ვიცი... მე მინდა სიცოცხლე! მინდა სიცოცხლე!.. მე კატამ მაცდუნა!.. მე მოვტყუვდი.. მე პატიოსანი ვარ!... დიდებული... მე ბურჯი ვარ საშშობლოსი.... ქვეყნის ბურჯი ვარ... ექიმი, ჩქარა ექიმი!.. ჩემი ქონების ნახევარს მივცემ... მთელ ჩემს ქონებას... მე იმ კატას მოვკლავ... დავახრჩობ!..

— არავითარი კატა აქ არ ყოფილა! ჩამძახა მან ცივის ხმით,—ეს მხოლოდ მოჩვენება შენს ავადმყოფ სულის!.. შენს ნერვებს!.,

ცივ წყალ დანასხამივით შევხტი.

— ყალბი მოჩვენება იყო?! კატა არ იყო... არც სხვა რამე.

— სრულიად არაფერი ფოთოლიც კი არ ჩამოვარდნილა ძირს!

— სრულიად არაფერი? დაე იყოს სრულიად არაფერი. მეც კი არაფერი არ მითქვამს... სრულიად არაფერი!..

— ხა, ხა, ხა! სრულიად არაფერი?!.

— დიახ, არაფერი! ვუპასუხე და თვალებში მივაჩერდი. შევატყვე, რომ ექიმზე ფიქრი მას ალარ აწუხებდა, მაგრამ მაინც შევეხვეწე მოეყვანა, რისთვისაც ბევრი რამ დახმარება აღუთქვი. ის ალაგიდანაც არ დაიძრა. მე თანდათან მიმძიმდა სუნთქვა. ვსუსტდებოდი აშკარად ვგრძნობდი და ვხედავდი კიდეც თუ როგორ შეუწყვეტლივ გადმოდიოდა ჭრილობიდან თბილი სისხლი. ხელებმა ვრეხა დამიწყეს. კრიჭა მეკვროდა.

— ექიმი... ექიმი!.. ვჩურჩულებდი მე და მისკენ ოდნავ მივბობლავდი. რომ ჩემს ტანჯვას იმაზე რაიმე გავლენა მოეხდინა.

არავითარი ნუგეში. არც ერთი სიტყვა.

სისუსტისაგან თვალები მიმელულა. პირი სრულიად შემეკრა. ამ დროს მომესმა მისი გულიდან ამოხეთქილი „ოოხ“, უკებ მომვარდა, თავი გვერდზე გადამიგრიხა, პირი ძალად გამიღო, და ვგრძნობდი რომ პირში მაფურთხებდა, ჩემ შესარცხვენად... ჩემს დასასჯელად...

მოაჰპემ უცებ შესკვალა ლაპარაკის კილო, მხიარულად გადიხარხარა და გაწყობილ მაგიდაზე მიგვიწვია.

— ბატონებო! ეს მხოლოდ ჩემ მიერ შეთხზული ზღაპარი იყო. გთხოვ თქვენი შემდეგი ყურადღება მიაქციოთ, მეორე უფრო მარტივ საკითხს!...

ჩვენ ველანი ფეხზე წამოვცვივდით, გარს შემოვეხვიენით მას და როგორც მკვდრეთით ამდგარს, ისე ველერსებოდით..

ფერადი თაიგულებითა და ლალის ფერ ღვინით სავსე ჭიქებით ლამაზად შემკულმა სუფრამ მალე დაგვავიწყა ეს უცნაური ზღაპარი...

ა. ჭელიძე.

# სასამართლო

## სახელმწიფო ტყის გაჩეხა.

24-ს სექტემბერს, ტფილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ბორჩალოს მაზრის სოფელ შაქარლოვის მცხოვრებლების: არშაკ ოვგალოვის, ავეტიკ ბუღადაროვის და ივანეს ალაბოვის. მათ ბრალდებდნენ სახელმწიფო ტყის გაჩეხას 1905 და 1906 წელს. ეს საქმე შარშან აღუძრავს ტყის მცველს შიპკოს. ბრალდებულებმა დაამტკიცეს, რომ 1905 წელს არეულობის დროს სხვებმა გაკაფეს სახელმწიფო ტყეო. სასამართლომ გლეხები გაამართლა.

იმავ სასამართლომ გაარჩია საქმე დიმიტრი ხარიტონოვისა, რომელსაც ნებადაურთველად გაუჩეხია ალავერდის ქარხნის კუთვნილი ტყე. ხარიტონოვმა სასამართლოს განუცხადა, რომ მე ვარ ბერძენი და ჩემ მამა-პაპას ირაკლი მეფისგან ნება ჰქონდა მიცემული ალავერდის რკინის ქარხანაში მუშაობისა და ტყის უსასყიდლოთ სარგებლობისათ. პროკურორმა განაცხადა რომ ალავერდის რკინის ქარხანა 1872 წელს პოსესიონი შეიქნა და მთავრობის ნება დაურთველად იქ ტყის გაჩეხა არ შეიძლებაო. სასამართლომ პროკურორის მოხსენება მიიღო მხედველობაში და ხარიტონოვს გადაუწყვიტა ზარალის ანაზღაურება.

## ბოქაულზე ცილის წამება.

ტფილისის სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე თერგის ოლქის, ნალჩიყის მაზრის, სოფელ შიშიანაკეს მცხოვრების ზარმაბეკ აჯიევის საქმე. აჯიევს უჩივლია ნალჩიყის ბოქაულისთვის, ვითომ ბოქაული მას დასცემოდეს ორი ყაზახითა და წაერთმიოს 4,000 მანეთი და საქონელი. აჯიევის ბრალდება ტყუილი გამოდგარა რისთვისაც ის მიუციათ სამართალში. სასამართლომ აჯიევს ორი თვით სატუსაღოში—დაპატიმრება მიუსაჯა.


# განცხადებანი

## აფთიაქი

იყიდება ან იძლევა იჯარით ს. მეჯვრისხევში (გორის მაზრა)

ადრესი: через Гори въ сел. Меджврисхеви, аптека. (2—95—1)

## აგენტი
## ი. გ. ხალათიანი

რეკლამებს, პუბლიკაციასა და განცხადებას

ვკისრულობ ადგილობრივსა და რუსეთის სხვა ქალაქების გაზეთებსა და ჟურნალებში, ძლიერ შეღავათიანის პირობებით, ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით. ვკისრულობ აგრეთვე ყოველგვარ სტამბის საქმეს. დიდი ხნის გამოცდილება მაქვს. გთხოვთ სხვა აგენტებს არ დამადაროთ.

დროებითი ადრესი: გაზ „Нов. рѣчь“-ის კანტორა, ტელეფ. № 20.

ყოველ დავალებას პირნათლად ვასრულებ. ყველა რეკლამებს თვითონვე ვადგენ.

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი**: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი**: $1^1/_2$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი**: 6—9 ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. მ. გეევსკაია-ენგელი**: 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მეღიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს (ნ.—189

**ექიმი ი. ვაშაკიძე**

იღებს შინაგ. [illegible] ავადმყოფებს დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 [illegible] (0—222

## თევზის მაღაზია
## ს. ა. გუკასოვისა

პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ



ტელეფონი № 395 — ტელეფონი № 395

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი ზუთხი და თართი, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული. ფასები სინდისიერია. პატივისცემით ს. ა. გუკასოვი. (40—33—9)



## კომპ. „გრამოფონი“
## გ. ს. დავიდოვისა

გოლოვინის პრ., 6, ტფილისის საკრებულოს ქვეშ.

ბლომად მივიღეთ ორ მხრიანი სასიმღერო

## ფირფიტები

ფასი 1 მ 25 კ

განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევს ქართულის სასიმღერო ფირფიტები

„სესილი“ 35 მანეთი.

დამღერილი ბაგრატასაგან, ნიკოლასაგან, კავსაძისაგან. გურული: ქავლიშვილისა, მახარაძისა და დოლიძისა.

## „გრამოფონის“
## ფასი 3 მ. 20 მ.-დე.

სხვა ქალაქის მსყიდველთა საყურადღებოდ: რადგანაც დიდ ძალი საქონელი გვაქვს, ყოველ დაკვეთილს სწრაფად ვასრულებთ. (2—78—2)

ყველა ჩვენ აპპარატს აქვს ფაბრიკის საკუთარი ნიშნები

TRADE MARK. — TRADE MARK.

„მწერალი ანგელოზი“

## აქც. საზოგადოება
# გრამაფონი

ტფილისი, გოლოვინის პროსპ 9, ტელეფ. № 69

[illegible]



| ადგილობრივი: | რუსული: |
|---|---|
| კავსაძე, კარგარეთელი, ტომაშევიჩი (ქართველი), გ. ბაგრატ, ნიკოლი, კომიტას ვარდა პ კავსაძე, მაღჯიდ ბეგბუტოვი, ჯაბარი, კორიაგ დიევ მამადი მამედ ფარზალიევ, ამირჯან და ბევრი სხვა. | ფ. ი. შალიაპინი. ლ. ვ. სობინოვი. დ. ა. სმირნოვი. ვ. პ. დამაევი. ნ. ვ. გრიზუნოვი. ლ. ვ. ნეჟდანოვი. მ. ა. მიხაილოვი. ნ. ს. ერმოლენკო-იუჟინისა. ვ. ნ. პეტროვ-ზვანცევი. ე. ი. ზბრუევი და ბევრი სხვა. |

ამას გარდა მივიღეთ დიდძალი ფირფიტები „ქუთაისის მოტივები“.

მოითხოვეთ უფასოდ ამ ფირფიტების კატალოგი.

ჩვენი ქართულის სასიმღერო ფირფიტების შეძენა შეიძლება აგრეთვე ქუთაისში ა. რ. თაბაგარი სამუსიკო მაღაზიაში.

## ფირფიტები 65 კ. და უფრო ძვირი.
## აპპარატები 35 მანეთიდან და უფრო ძვირი.

## АКЦ. ОБЩ. „ГРАММОФОНЪ“

Тифлисъ, Головинскій просп. 9, телеф. № 69.

კატალოგები მოითხოვეთ უფასოდ. (0—8)


რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი.

სტამბა „ხინაძილი“ რუსის ქუჩა № 8